

რამდენიმე საკითხი ქართულ-ინგლისური ენების შეპირისპირებითი კვლევებიდან

CERTAIN ISSUES IN GEORGIAN-ENGLISH COMPARATIVE LINGUISTIC ANALYSIS

მარიამ ორკოდაშვილი
Mariam Orkodashvili

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
Georgian-American University

 <https://orcid.org/0000-0002-5493-8489>

საკვანძო სიტყვები: ტიპოლოგიური ანალიზი, შეპირისპირებითი ანალიზი, ღინგვისტური დისტანცია, ენობრივი ინტერფერენცია, კორპუსის ანალიზი

Keywords: typological analysis, comparative analysis, linguistic distance, language interference, corpus analysis

ABSTRACT

The aim of the research is comparative linguistic and extralinguistic research of English and Georgian. The research intends to offer a unique perspective of comparing morphosyntactic variations of Indo-European (e.g. English) and Kartvelian (e.g. Georgian) languages, and how these variations reflect idiosyncrasies of human cognition. The linguistic distance between these language families is significant. Therefore, it will present an interest both for the research and for the teaching process.

Kartvelian languages shed a novel light on a number of linguistic issues that present the interest from historical, evolutionary and cognitive perspectives, the evolution of sound system and morphosyntactic structures alongside cognitive evolution being among many others. For instance, it is well-known that the Georgian language, being one of the Caucasian languages, has complex and idiosyncratic phonological and morphosyntactic systems that also condition its peculiar semantic-pragmatic framework.

The study uses comparative, contrastive; typological; corpus analysis; and discourse analysis methods.

All the analyzed linguistic units or structures are considered within the frameworks of pragmatics (influence, assurance, request, appeal) and psycholinguistics (language acquisition, teaching/learning, influence on neuroplasticity). Moreover, bilingual discourses and language interference cases associated with them are also discussed.

Corpus has been gathered from authentic materials: on-line resources, academic-scientific, media, literary, colloquial texts and discourses.

The novelty of the study is the fact that it considers linguistics distance in any aspect of comparative analysis.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართულ-ინგლისური ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური შეპირისპირებითი კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების გაანალიზება.

კვლევა წარმოაჩენს ინდოევროპული (ინგლისური) და ქართველური (ქართული) ენების განმასხვავებელი მახასიათებლების ანალიზს და განიხილავს თუ როგორ კოგნიტიურ თავისებურებებს ასახავს ეს ლინგვისტური მახასიათებლები. ზოგადად, ლინგვისტური დისტანცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენების შეპირისპირებითი ანალიზის დროს.

ამ მხრივ, ქართული და ინგლისური სრულიად განსხვავებულ ენების ოჯახს მიეკუთვნება (ქართველურ და ინდოევროპულ ენათა ოჯახებს) და ლინგვისტური დისტანცია მათ შორის დიდია. შესაბამისად, მიღებული შედეგები საინტერესო იქნება როგორც ტიპოლოგიურ-შეპირისპირებითი კვლევის, ასევე ამ ენების სწავლა-სწავლების პროცესისთვისაც.

ქართველური ენები ახლებურად წარმოაჩენენ მრავალ ლინგვისტურ საკითხს, რაც საინტერესოა ისტორიული, ევოლუციური და კოგნიტიური სფეროებისთვის. მრავალ საკითხს შორის ბგერითი სისტემის და მორფოსინტაქსური სტრუქტურების ევოლუციის პროცესი კოგნიტიურ პროცესთან მიმართებაში განსაკუთრებით ინტერესს იწვევს. მაგალითად, ქართულს ისეთი თავისებური და კომპლექსური ფონოლოგიური და მორფოსინტაქსური სისტემები აქვს, რომ ისინი ხშირად მის სემანტიკურ-პრაგმატულ ჩარჩოსაც განსაზღვრავს და ლინგვისტური ერთეულების გადატანა ინგლისურში ვრცელი სინტაქსურ-ტექსტობრივი საშუალებით ხორციელდება. ამიტომ, ასეთი განსხვავებები და

შეპირისპირებითი კვლევები ტიპოლოგიის სფეროსთვის ფრიად აქტუალურ საკითხებს წარმოაჩენს.

თემა განიხილავს ყველა შეპირისპირებით ანალიზს ლინგვისტური დისტანციის ქრილში. ის ფაქტი, რომ ინგლისური და ქართული სხვადასხვა ენობრივ ოჯახებს და ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ზრდის ლინგვისტური დისტანციის ფაქტორს და საინტერესოს ხდის კვლევის მიგნებებს.

კვლევა იყენებს შეპირისპირებით-ტიპოლოგიურ, კორპუსის და დისკურსის ანალიზს. ყველა განხილული ლინგვისტური ერთეული თუ სტრუქტურა ასევე განხილული იქნება პრეგმატულ (ზეგავლენა, დარწმუნება, თხოვნა, მოწოდება) და ფსიქოლინგვისტურ (ენის სწავლა, სწავლება, ათვისება, ნეიროპლასტიკურობაზე ზეგავლენა) ქრილში. ამავდროულად, გათვალისწინებული იქნება ბილინგვური დისკურსები და მათთან დაკავშირებული ენობრივი ინტერფერენციის შემთხვევები.

მონაცემები შეგროვებულია ავთენტური მასალიდან: ონლაინ რესურსებიდან, აკადემიურ-მეცნიერული, მედიის, მხატვრულ-ლიტერატურული, სასაუბრო ტექსტებიდან და დისკურსებიდან.

ემპირიული ანალიზი: კვლევა ადარებს შემდეგ საკითხებს:

ა) პრევერბები ქართულში და შესატყვისი ფრაზული ზმნები ინგლისურში. ქართული პრევერბები დეიქტურ სტრუქტურებად შეიძლება იყოს მოაზრებული, იმდენად რამდენადაც ისინი მდგომარეობას, მოძრაობას, მიმართულებას, ქმედების შედეგს და ეპისტემური არეალის დეიქტურ ცენტრთან მიმართებას გამოხატავენ. ისინი ყველაზე პროდუქტიული დერივაციული პრეფიქსების მეშვეობით მდიდარი სემანტიკის შემცველ კომპლექსურ ზმნურ სტრუქტურებს ქმნიან. კვლევა შეისწავლის შესაფერის ფრაზულ ზმნებს ინგლისურ ენაში;

მაგალითად, ქართულში ერთი და იგივე პრევერბი სხვადასხვა ზმნასთან შეიძლება გამოხატავდეს: მიმართულებას (გადა-უფრინა), გამეორებას (გადა-იმეორა), განმეორებას, მიბაძვას (გადა-წერა), ზემოდან ქვემოთ მოძრაობას (გადა-ვარდა), შედეგობრივ ქმედებას (გადა-თელა). აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ინგლისური ენა აღნიშნულ ქმედებებს ფრაზული ზმნებით გამოხატავს: flew over, revised, copied, fell down, stamped down.

ასევე საინტერესოა, რომ ქართულში ლოკაციურ-ასპექტური კომპონენტები პრევერბებში ურთიერთკავშირშია, რაც ინგლისურში არ აღინიშნება. მაგალითად: გადა-ფრინდი, და-ფრინდი, მი-ფრინდი, შე-ფრინდი.

ბ) ქართულში უარყოფის ნაწილაკის 'არა/არ' გამოყენების სიხშირე უფრო დიდია, ვიდრე ინგლისურში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ ქართულში აჩა/აჩ არა მხოლოდ უარყოფის, არამედ ექოს, ემფატიკურობის [გეგე დედოფარი აჩ იყოს!], ინტენსიფიკაციის და პაუზის

შემავსებლის ფუნქციითაც გამოიყენება. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, ქართულში ორმაგი უარყოფა გამოიყენება, მაშინ როდესაც ინგლისური ამას შეცდომად თვლის. მაგალითად, მე აჩეხთი ყვავიდი აჩ მაქვს. /I have no flowers.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ნეგაციის ექოს ფუნქცია ქართულში. მაგალითად:

- ძალიან გადატვირთული ქალაქია.

- ხო არა, ძალიან გადატვირთული ქუჩებია.

- The city is too busy.

- Yes, *no, the streets are too congested.

მაშინ როდესაც ქართულში ხო და აჩა ერთმანეთის გვერდით გამოიყენება, ინგლისური მხოლოდ ხო-ს იყენებს. რაც შეეხება ქართულს, ხო ეთანხმება მოსაუბრის აზრს, რომ გადატვირთული ქალაქია, აჩა კი ექოს ფუნქციით გულისხმობს, რომ ქალაქში ცხოვრება შეუძლებელია.

გ) კიდევ ერთი საინტერესო საკითხი ქართულ-ინგლისური ტიპოლოგიურ-შედარებითი კვლევისას არის კაუზაციის და კაუზატივების გამოხატვა ამ ენებში. აქ აღსანიშნავია, კაუზატიური სტრუქტურების ქართულიდან ინგლისურში გადატანა და ამ მორფოსინტაქსური სტრუქტურის მეშვეობით ისეთი სემანტიკურ-პრეგმატული შინაარსობრივი ელფერის გამოხატვა, როგორიცაა ძალდატანება, იძულება, ძალაუფლების მინიჭება, ნებელობა, უნებლო ქმედება და ქმედების გაუთვალისწინებელი შედეგის მიღება.

მაგალითად, ქართულში ორი საინტერესო სტრუქტურაა, რომელიც გამოხატავს: 1) ერთი აგენტის (ზეგავლენის მქონე მოქმედი პირის, კაუზერის) მიერ მეორე აგენტის (ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირის, კაუზიის) იძულებას, წახალისებას ან შეგუიანებას შეასრულოს გარკვეული მოქმედება (გააკეთებინა he had him do it); 2) ერთი აგენტის (სადაც კაუზერის და კაუზიის თანხვედრა ხდება) მიერ რაიმე ქმედების გამოწვევას მისი უნებლო, არაპირდაპირი, ფარული, უხილავი ქმედებით, განზრახვით ან საუბრით (შემომეჭამა, შემოგვეღიეჭოხა I ate the whole cake (the cake was so delicious it made me eat it up; he became the director through actions that were hardly noticeable).

კაუზაციის გამოხატვა სხვადასხვა ენებში ტემპორალურ თანმიმდევრობასთანაც არის დაკავშირებული. თუ ერთი ქმედება სისტემატურად წინ უსწრებს მეორე ქმედებას, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ქმედებებს შორის არის კაუზატიური კავშირი (გამონაკლისების გარდა); ხოლო თუ ქმედებების თანმიმდევრობა არასისტემატურია, მაშინ საქმე უფრო კორელაციასთან გვაქვს.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი კაუზატივებთან მიმართებაში არის ის ფაქტი რომ, ქართულში კაუზაცია ზმნის ვალენტობასთანაც არის ასოცირებული (გავაკეთებინე), მაშინ როდესაც ინგლისურში ის სინტაქსური სტრუქტურებით გამოიხატება (I got him to do it).

კაუზაცია ხშირად ლატენტურ, ფარულ, უხილავ სურვილებს და განზრახვებს გამოხატავს, რომლებიც გარკვეული შედეგის დადგომაზე ფარულად, უხილავად, არაპირდაპირ მოქმედებენ (*შემომესწავდა - I revised it so many times that I learnt it without realizing the fact*).

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი არის კაუზაციის და ინხოატივის გამიჯვნა. მაშინ როდესაც კაუზაცია ერთი აგენტის მეორეზე ზემოქმედებას გულისხმობს, ინხოატივი ბუნებრივი მოვლენით გამოწვეულ შედეგს აღნიშნავს. ეს ორი ქმედება ინგლისურში ხშირად სტრუქტურულად თანხვედბა (*darkened*), ხოლო ქართულში სხვადასხვა ფორმა აქვთ (*დაბნედა; მე ჩავაბნედი*).

ზმნები *let, allow, permit* ინგლისურში, კორპუსის ანალიზისთვის საინტერესო ლინგვისტურ ერთეულებს წარმოადგენენ, რაც ენობრივი ტიპოლოგიების დადგენისთვისაც მნიშვნელოვანია. ქართულში, სუფიქსაციით გამოხატული სიტყვა *გაგვიშვა* ინგლისურში გამოიხატება როგორც სინტაქსური სტრუქტურა, *'He let us go'*.

ასევე საინტერესოა ერგატიული სტრუქტურებით კაუზაციის შინაარსის გამოხატვა ქართულში და მათი შესატყვისი სინტაქსური სტრუქტურების შემუშავება ინგლისურ ენაში აგენტობის შინაარსის გადმოსაცემად. კვლევა მოსაზრებას გამოთქვამს, რომ ერგატიულ სტრუქტურებს იძულების, ზემოქმედების, და შესაბამისად, კაუზაციის სემანტიკაც ემატება. მაგალითად, *შიშმა გადამაწყვეტინა*, რაც ინგლისურში სინტაქსური წყობით გადმოიცემა, *fear made me make this decision*.

ყველა ზემოგანხილული საკითხი მნიშვნელოვანია მეორე ენის შესწავლისას და მრავალენობრივ გარემოში საუბრისას, რადგან სტუდენტებს ხშირად ესაჭიროებათ კაუზაციის, ნებელობის და დაძალების გამოხატვა სხვადასხვა ენაში და კულტურაში.

დ) ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი ანალიზისას ნაწილაკების შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

1. Interrogative: ხომ (indeed), ნუთუ (is it possible!) „ნუთუ სმასა და ჭამაზე ჰკიდია მხოლოდ ქვეყანა?“ (ჯაჟა).
2. Negative: არ, არა (no, do not), ვერ, ვერა (no, can not), ნუ (don't);
3. აღარ (not again), ვეღარ (not any more), ნუღარ (don't any more) არც, ვერც (neither/nor).
4. Proximity: თითქმის, კინაღამ (almost).
5. Distinguishing-limitative: მარტო, მხოლოდ (only, just).
6. Wish: ნეტავი, ნეტა (I wish), დაე (let it be).
7. Fear and encouragement: ვაითუ (what if), იქნებ (perhaps).

8. Answering: კი, ჰო, დიახ (yes), არა (no), ვერა (no, can not).

9. Separate: თურმე (as it appears, as it appeared).

10. „განა პატარა ვარ?“ „განა ხუთშაბათს მოვიდა?“
Am I really little? Did he really come on Thursday?

წარმოდგენილმა მაგალითებმა ცხადყო, რაოდენ მნიშვნელოვანია შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზის გათვალისწინება ენების სწავლება-სწავლის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ტიპოლოგიურად განსხვავებულ და ლინგვისტურად დიდ დისტანციაზე დაშორებულ ისეთ ენებს ეხება, როგორიცაა ქართული და ინგლისური.

ლიტერატურა

- Fauconnier, G. and Sweetser, Eve. (eds.) (1996). *Spaces, Worlds, and Grammar*. The University of Chicago Press: Chicago and London.
- Glynn, D. and Justyna A. Robinson (eds). (2014). *Corpus Methods for Semantics. Quantitative studies in polysemy and synonymy*. Human Cognitive Processing 43. John Benjamins Publishing Company.
- Kozinsky, I. & M. Polinsky. (1993). 'Causee and patient in the causative of transitive: coding conflict or doubling of grammatical relations?'. In B. Comrie & M. Polinsky (eds), *Causatives and transitivity*. Amsterdam: Benjamins, 177-240.
- Kratzer, A.. (2012). *Modals and Conditionals*. *Oxford Studies in Theoretical Linguistics*. Oxford University Press.
- Lakoff, G. and Ross, J. R. (1972). A note on anaphoric islands and causatives. *Linguistic Inquiry* 3: 121-125.
- Lenz, F. (ed). (2003). *Deictic Conceptualisation of Space, Time and Person*. John Benjamins Publishing Company: Amsterdam / Philadelphia.
- Parikh, P. (2010). *Language and Equilibrium*. The MIT Press: Cambridge, Massachusetts.
- Pearl, J. (2009). *Causality. Models, Reasoning, and Inference*. Second Edition. Cambridge University Press.
- Philipp, M. (1998). *Semantik des Deutschen. Germanistische Lehrbuchsammlung. Band 13*. WEIDLER Buchverlag Berlin.